

ივერიის

გაზეთის დასაყვეთად და კერძო განცხადებებთან დასაბუქდად უნდა მიჰმართოს: თვითონ რედაქციას, ახალ-ბეულოვის ქუჩაზე, სახლი № 9, შვერდოვის საგაზეთოს, ცენტრალურს და გრიგორიის წიგნების მაღაზიას.

გაზეთის ღირს:			
თვე	მან. კ.	თვე	მან. კ.
12	10 —	6	6 —
11	9 50	5	5 30
10	8 75	4	4 75
9	8 —	3	3 50
8	7 25	2	2 75
7	6 50	1	1 50

ცალკე ნომერი — ერთი შაურა.

1877—1886 წელიწადი

საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1886 წელიწადი

გაზეთი „ივერია“ 1 მაისსიდან წლის დამლევამდე ღირს 7 მან. 25 კაპ.

ტფილისი, 27 აპრილი

უკანასკნელი დეპეშებს რომ დავაკვირდეთ ოსმალთს და საბერძნეთის საქმე იქამდე მივიდა, რომ ღამის იქ გაწყდეს, საცა წვრილია. კაცი რომ დაუკვირდეს ამ ოსმალ-საბერძნეთის კინკლაობას და იკითხოს: ეს რისხვა-მუქარა და ტუქსვა საბერძნეთისა რად მოიწადინა ევროპაში, — ვასუსს ვერას გზით ვერ იპოვის. ესეთი ქცევა ევროპის საბერძნეთის მიმართ მით უფრო საოკარია, რომ საბერძნეთმა უკვე გამოაცხადა სურვილი თოფ-იარაღის აყრისა, ოღონდ ითხოვა ვაშაქს ნუ დამიდებთო და მე თვითონ ჩემ თავად ნელ-ნელა თოფ-იარაღს ავიყრიო. ეს ევროპამ არ უყბუღა და რვა დღე ვაქმანი დაუნიშნა. რათა და რისთვის? ზოგნი ამბობენ, იმიტომ რომ ოსმალეთი მეტად შეაწყნა თოფ-იარაღს ქვემ დგამამაო, დიდი ხარჯი მოსდისო და ამის გამო ოსმალეთმა ევროპას სთხოვაო, ბოლო მოუდეთ ამ გვარს მდგომარეობას, თორემ სხვა გზა არ დამჩენია, ომს გამოვუცხადებო გაჯიუტებულს საბერძნეთსო.

ევროპისათვის ესეა ომის ატეხა სრულდებოდა სასურველი არ არის. ევროპა რომ დარწმუნებული იყოს, ომი საბერძნეთსა და ოსმალეთს შუა დაიწყება და მათ შორისვე გათავდება, იქნება ხმა არ ამოეღო... მაგრამ არა ერთხელ გვითქვამს, რომ ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ მცირედნი მოძრაობაც ერთისა თუ მეორის, პატარისა თუ დიდის სახელმწიფოსი, — ყველას ურუებს აცქვეტიანებს ხოლმე. არც ერთი დიდი სახელმწიფო არ არის, რომ ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ თავისი ქსელი არა ჰქონდეს გამბუღი და თავისას არ ეძიებდეს. აი ამიტომაც დღევანდელი ევროპა ასე უფრთხის ყოველს მოძრაობას ბალკანის ნახევარ-კუნძულზედ და დიდის გულ-მოდგინებით ჰყვირობს საბერძნეთსა არა ასტუქსონა. იმიტომ-რომ თუ ასტუქსა რამე, ძალა უნებურად დიდნი სახელმწიფოებიც უნდა ჩაერივნენ საქმეში... არა ერთხელ გვითქვამს და კიდევაც ვიტყვით, რომ ევროპა ამ საერთო აღიარების ატეხისათვის ჯერ არც მოცლილია და არც მზად არის. ევროპამ ძალიან კარგად იცის, რომ თუნდ დღეს საბერძნეთი ჩააჩუქოს, საქმე მანც ამით გათავებული არ

არის, არის მხოლოდ სხვა დროსთვის გადადებული. რაც ხვალ იქნება, ის ისე არ ამინებს და აფიქრებს ევროპას, როგორც დღევანდელი დღე, რომელმაც ევროპას ასე მოუცდელად და მოუშადადებლად მოასწრო. ჩვენ რომ ვამბობთ ევროპა მოუშადადებელია, ეს იმას კი არა ჰქონდა, რომ თოფ-იარაღი და ჯარი გაწყობილი არა ჰქავთ.

ამ მხრით ყველა სახელმწიფო საკმაოდ მზად არის: 1870 წლიდან, ესე იგი, მას აქედ რაც გერმანიამ საფრანგეთი დაამარცხა, ყველა სახელმწიფომ თავისი თადარიგი დაიჭირა. ესეა საქმე მოზავთა მოვანა-ზეა მიმდგარი. ათას ნაირად გადახლართულმა ინტერესებმა ასე აწეწეს ევროპის სახელმწიფოთა საქმეები, რომ ერთი სახელმწიფო მეორეს საკმაოდ ვერ დაუხლოვდა. ვინ ვის მიემხრობა და მიემხველება, თუ ვინ ვისა და იმას ასტუქდა, — ჯერ თვითონ დიპლომატიამაც არ იცის და თვითუფლს სახელმწიფოს კი ცალკე ვერაფერი გაუბედნია, — ვაი თუ სხვებმა სულ გამინაპიროვნო და მარტო მოამაწყვიდონო. დღევანდელი ევროპა ამ მხრით არის მოუშადადებული და ამიტომაც დღეს მარტო იმის ცდაშია, რომ ესეა არ ასტუქდეს ომი.

ზოგიერთი ნიშნები კია, რომ გერმანიის და ავსტრიის უფრო კუდადამბუღები არიან დღეს, ვიდრე სხვა სახელმწიფოები. საფრანგეთმა, თავის დამარცხების შემდეგ, დღეს პირველად იჩინა თავი საზოლიტიკო სარბიელზედ და თავისის საკუთარის პოლიტიკით გამოვიდა. იგი არ მიემხრო გერმანიას, ავსტრიას და ინგლისს და საბერძნეთის საქმეში ცალკე იმოქმედა, მერე ისეთის გამარჯვებით, რომ საბერძნეთმა, რომელმაც ევროპის მუქარას უარი არ ათხოვა, მარტო ერთის საფრანგეთის რჩევას დაუჯერა. ბისმარკს, რომელმაც ეს თექვსმეტი წელიწადია პირველობა ეჭირა ევროპის საზოლიტიკო საქმეში, ვერაფრად იამა საფრანგეთის თვით-მოყოფილობა. როგორ? ნუ თუ საფრანგეთმა უნდა დაინარჩუნოს პირველობა ოსმალთ-ბერძენთა საქმის გათავებაში!.. აბა ამას როგორ არ ითავილებდა გაზვიადებული და უოგლად ძლიერი ბისმარკი. ითავილია და გაწიწმუტდა კიდევ. ბისმარკის მომხრე ნემენცურს გაზეთებს რომ კაცმა თავალი ადევნოს, სიცილიად არა ჰყოფნით საფრანგეთის ასეთი ქცევა. სულ ამ ხმაზედ მდგომარე: კუმ ფენი გამოჰყო, მეც ნახირ-ნახირი. საფრანგეთის გაზეთები კი ძალიან უწონებენ საფრანგეთის მთავარ-მინისტრს

ჭრეისინეს, რომ დრო იხელთა, ბისმარკის პოლიტიკას მოსწყდა, თავისი საკუთარი პოლიტიკა აჩინა და იმოდენა პატივაც მოიპოვა, რომ საბერძნეთი მარტო საფრანგეთის ხმას დაემორჩილა მამინ, როდესაც ევროპამ თავისის მუქარითაც ვერა გააწყნო-რა.

უამისოდაც საფრანგეთი და გერმანიის ერთმანეთზე ამირიზნენ ამ ბოლოს დროს. საფრანგეთი, როგორც ეტუობა, გამოდონიერდა. უკვე მოესწინებთ ჩვენს მკითხველებს, რომ საფრანგეთის ერთმა სამხედრო კაცმა წიგნი დაჰბეჭდა, რომელსაც სახელად დაარქვა: «ომის წინადა». ამ წიგნში გამოცხადებულია, რომ საფრანგეთი ათის დღის განმავლობაში 1,800,000 კაცს საომრად გამოიყვანსო. ეს თითქმის ორი მილიონი ჯარი დიდი საფრანგეთის საფრანგეთის მტრისათვის. იქნება ამ საფრანგეთის კიდევ ისე არ შეუშინდეს ბისმარკი. ბისმარკის შიში ის არის, თუ რომ საფრანგეთმა მშველელი და მოზავი იმოვა სხვა სახელმწიფოთა შორის. იტალიაც დღეს გულ-ნატეხის გერმანიისაგან. უკანასკნელ დროთა პოლიტიკამ ბისმარკისამ მეტად გაანაღისა ვაპი. ვაპმა, ბისმარკის მომხრეობით წაქეზებულია, როგორც ვაპუნიებენ გაზეთები, უკვე გააბა ქსელი იტალიაში, საერო მფლობელობის დასაცემად და თავისის ადსადგენად. ეს გარემოება გადავიღებს საფრანგეთისა და იტალიის დახლოებას, თუ ბისმარკმა და ვაპმა იტალიის საქმე ისე არ აწეწეს, რომ იტალიამ საგარეო საქმეთა თვის ვედარ მოიკალოს. გარდა ამისა საფრანგეთს არ შეიძლება ცოტა თუ ბევრი იმედი არა ჰქონდეს ერთი სხვა სახელმწიფოსიც, რომელიც მეტად გულ-ნაკლულია გერმანიისა და ავსტრიის ქვევისაგან ამ უკანასკნელ დროს. ბისმარკს საფრანგეთის რესპუბლიკის დაარსება იმისთვის უხაროდა, რომ რესპუბლიკა მომხრეობდა ევროპაში მომხრეს თავის დღემდე ვერ მოიპოვებდა. იქნება დრომ მოიტანოს და ის ადრეული სისარული ბოლოს გაუმწარდეს. არვინ იცის!...

ახალი ამბავი

* ამ ბოლოს დროს მეტად გავრცელდა საჩივარი იმის შესახებ, რომ ცხენის რკინის გზის კონსტრუქტორები ხალხს ხურდის რიგობად არ აძლევენო. მაგრამ ეს საჩივარი ერთის მხრით თუ მართალია, მეორეს მხრით მეტად გაზვიადებულია. ამას წინედ ჩვენ მო-

გვიხდა კუკილდგან მომავალ მატარებელში ჯდომა. ერთმა ქალმა, რომელმაც სამი შაური მისცა კონსტრუქტორს, აბაზის თხოვნა დაუწყო, დაიქნა აბაზიანი იყო რომ მოგეციო, სამ-შაურიანი სულ არც-კი მქონია ჯიბეშიო, — რამდენს არ ეფიცებოდა კონსტრუქტორი, რამდენს არ არწმუნებდა, რომ კარგად მახსოვს სამ-შაურიანი იყოო, არ დაუჯერეს და არა. ბოლოს აიღო და თავის ჯიბიდან მისცა ის ერთი შაური, რომელსაც უსამართლოდა სთხოვდნენ. როდესაც მე ვუთხარი, რომ რად მიეცი შაური მეტი, ხომ სამ-შაურიანი იყო-მეთქი. მიპასუხა: მაშ რამექნაო, არ მიმეცა, კონტრალიორის ყურამდე მიხსწევდა ეს ამბავი და შაურის გულისთვის ალაგი უნდა დამეკარგაო; თუ არა და რა ვუყო, ვისაც ფულს ვაძლევ ხმა-მალა ხომ ვერ ვიყვირებ, აი ამდენი მომეცი და ბოლოს მეტი არა მთხოვო. მართლაც რომ ორცეცხლ შუა არიან: ვინც რა უნდა გთხოვოს და ცილი მოგიგონოს უნდა მისცე და თუ არ მიეცი, ადგილიდან დაგიტოვებ, ქურდობას და გწამებენ და თუ მისცემ, საიდგან, მცირე ჯამაგირი ვერ აუფა ყველას თხოვნას და მუქთად მატარებელში ჩაჯდომის მსურველთა.

* გუშინ-წინ, 27 აპრილს ქალაქის ბიჭებმა ძველებური კრივი გამართეს არსენალის ხეში. ორ-რახმად გაიყვნენ — ზემო და ქვე უბნად. ჯერ პატარაებს დააწყობინეს, 10—12 წლის ყმაწვილებს დიდებს გასამხნეებლად და შემდეგ დიდებიც გაუმკლავდნენ ერთმანეთს. ხან ერთი უბანი სძლევდა და ხან მეორე. ზემო უბნელებს შეადგენდნენ: შუა-ბაზრიდან დაწყობილი, სოლოლაკელები, მთაწმინდელები, გარეთ-უბნელები და ვერელები... წყალ გამოღმა და ქვემო-უბნელებს — ავლაბარი, კუკია და ჩულურეთი — წყალ გაღმა. კრივი სამ საათზედ დაიწყო და ხუთზედ დაიშალა. არ დაიშლებოდნენ, თუ ერთ-გარემობას არ შეემალა ხელი ამ ორის უბნის კრივი ორჯელ არია, საერთო გახდა, ამ საერთო კრივში ქვემო უბნელებიდან ერთი ცოცხალ-მკვდარი გაიტანეს ამ გარემობამ ყაზახებისა და კაზარმის ჯარის-კაცების ყურადღება მიიქცია და მოიწადინეს მათი გაფანტვა...

* დღეს არწრუნისეულ თეატრში დანიშნულია სომხური წარმოდგენა «მამლეტი». ჰამლეტის როლს ბ-ნი ადამიანი შეასრულებს.

* როგორც შეეიტყუო, ბ-ნს საფრანგულანცს განზრახვა აქვს ერთხელ კიდევ გამართოს თათრული წარმოდგენა. ისევე იმ პიესას წარმოადგენენო. წარმოდგენას 5 მაისისთვის აპირობენ.

* ცხინვალისგან გეცნობეს, რომ იქ გამოჩნებოდა ბოგანა ქია და ეახი

კვირტშივე გაუფუჭებია, ამას გარდა ამ დღებში იქ სეტყუცა ყოფილა.

* * * ქართულს დრამატიკულს საზოგადოებას „გაზურჩახავს ილღესასწაულის მეორე-და-ათე წელიწადი გოგოლის კომედიის „რევიზორის“ პირველად სცენაზე დადგმისა. კვირას, 4 მაისს, სათაყვან-აზნაურო ბანკის კრების დღეს, არწრუნისეულ თეატრში წარმოდგენენ ქართულ აქტიორების შემწეობით 2-რესა და 3 მოქმედებას «რევიზორისა». აგრეთვე ლექსებსაც წაიკითხავენ და სიტყვას წარმოსთქვამენ ამ დღისთვის დაწერილის. ამ წარმოდგენიდან შემოსული ფული ნახევარი თვით „ქართულის დრამატიკულს საზოგადოების“ შეძლების გასაძლიერებლად არის დანიშნული და ნახევარიც გოგოლის ძეგლის დადგმისთვის უნდა შესწირონ.

* * * 27 აპრილს დაქს, ფედერაციის წისკვილს ახლო, ჯარის-კაცის შვილი სიმონ კირალაოვი, სიმონ-დავით კლავდიან ჩამოკარდა და მტკვრის ნაპირად დაეცა. ამ დაცვაში თავი გაიტანა რამდენიმე ალაგას. დაზარალებული სამკურნალოშია გავსაწილი.

* * * შალციხის 3 განყოფილებაში, გლეხს დიმიტრი ივანოვი — არლოვს, რომელიც თოფის სტრეკდა, უნდა გავაგონდა თოფი, მუცელში მოხვდა და მოკვდა. გამოაქვა სწამოებს.

ნაკვეთი

ერთი გურული თავადიშვილი სტუმრისა და ღმირის მოყვარე კაცი იყო, ამასთან, რასაკარგულა, სარწმუნო უსომო სტოდნია. ძაღლან სწუხდა თურქი, რომ სესესებდა ფულს ვერ მოუღობდა.

— რა დაწვევდელი დრო მოვიდაო, უთხრა თურქი თავადმა თავის მოურავს: ძველად თვითონ შექმნა უფასო შედ რამდენსაც გინდა ფულს იშოვავი და ესეა გიკმისალოთაც დაზარაინ გენდობაო.

— მადლობა დიქრთს, კვ ზგრაქ ესეა, თორემ ძველად დრო რომ ყოფილიყო, ღდა შექმნიდათ არც უფასო და არც წყვილი, უმასუსა მოურავმა.

აბრეშუმის მრეწველობა საინფორმაციო

აბრეშუმის ქვის მოვლა, ძიძობა და, თუ გნებავთ, ლალაობაც საინფორმაციოში დღეს-კაცების ხელობაა, მათი აუცილებელი მოვალეობა. და რამდენადაც მე ცნობილი და შეტყობილი მაქვს მთელს საქართველოშიაც, იმ თავით — ამ თავამდე, საცა კი დაშთენილა ეს კეთილ-შობილური ხელო-

ბა, ყველგან დედათა სქესის ხელობათ ყოფილა და არის კიდევაც. მრავალ გვარნი საქმენი გარეშე სახლისა ანუ საოჯახო ბინისა: ხენა-თესვა, საქონლის მწყვეთა, ნადირობა, მტრის მოსაგერებლად ლაშქრად გასვლა და სხ. და სხ. მამა-კაცს ნებას არ აძლევდა შინ დარჩენილიყო დიდხანს და შინაური, საოჯახო საქმისათვის ბეჯითად მოეყოლა... პირ-იქით დედანი, შინ დაშთენილნი, ზნეობითად მოვალენი იყენენ გასძლოდოდენ ყოველ გვარ საშინაო საოჯახო საქმეებს: ყმაწვილებისათვის უნდა მოეყოლოთ, თავდაპირველი სწავლა ჩავგონებინათ, ლოცვები და ხან-და-ხან წიგნიც ესწავლებინათ, საქმელ-სახმელსა და ჩასაც-მელ-დასახურისათვის ეზრუნათ და მებრევე სხვა საქმე გაეკეთებინათ. მაშასადამე აბრეშუმის ქვის მეურნეობაც, — რომელიც აძლევდა ხალხს დიდს შეღავათს ცხოვრებისას, უნდა ყოფილიყო დედათა ზრუნვის და მოღვაწეობის საგანი. ასრეც იყო და არის ეხლაც საინგილოში.

მართალია, ახალმა ცხოვრებამ მამა-კაცები განათავისუფლა ერთ დიდ გარეშე საქმისაგან — ლაშქრობისაგან და მისცა შეძლება, რომ დრო, რომელსაც ჰქარავდნენ ბრძოლათა სარბიელზე, მოეხმარათ თავიანთ სახლ-კარ-ოჯახის მოსაველეად; მაგრამ, რადგან შინაურის საქმეების ხელი არ იცოდნენ, ეს თავისუფალი დრო ჯერ-ჯერობით სასურველად ვერ მოუხმარებიათ... შინაური საოჯახო საქმენი ისევე დედა-კაცებს აწევს და მათ მოვალეობათ ითვლება...

როგორც წინადაც ვსთქვით, რიგიანი შესწავლა ქვის მოვლის ხელობისა შესამჩნევად აღამაღლებდა ჩვენის ქვეყნის მეურნეობას და ერსაც დიდად გაუადვილებდა ცხოვრებას.. ჩვენის აზრით, ურიგო არ იქნება, ვიცოდეთ როგორ უფლიან ქიან საინგილოში.

გადის გაზაფხული. ბუნება იმოსება ათას ფერად. ჰაერი თბება. ინგილოს დედა-კაცი შეუდგენენ ქვისთვის ზრუნვას. აპრილიდანვე დაიწყეს სინჯვა თესლისა, რომლის ერთი მარცვალი ღომის მარცვალზე უფრო პატარაა. ზამთარში ანუ ცივს ჰაერში ქვის კვერცხებს უფრო ცის ფერი აქვს, თბილში კი ლურჯდება და ეს ჰინიანებს, რომ ქვის გამოსვლის დრო დადგა. ამიტომაც დედა-კაცი ხშირად სინჯავენ თესლსა, რომ უც-

ხად არ გამოვიდეს ქია და საზრდოს მიუცემლობისა გამო არ დაიხრცოს. ზამთარში თესლს ინახვენ გრილს ადგილას, ჩარდახში, ან დერეფანში, რადგან დიდი სითბოც და დიდი ყინვაც მავნებელია მისთვის. თუ თბილა, ქია გამოვა და თუ ცივა—გაიყინება და შიგვე თესლში მოკვდება ხეხილი კვირტსა და კუკურს რომ გამოიტანს, მაშინ თესლს შეიტანენ სახლებში, დასდებენ ხის ხონჩებზე და სახლის ერთ კუთხეში აბოლებენ ნელ ცეცხლს და კარებსაც გამოკეტვენ, ხერხელებსა და სახლის ქუქრუტანებს გასკვდავენ, რომ ცივი ქარი არ შევიდეს. თესლის შეტანის დღიდან, სახლში ცხოვრება აღარ შეიძლება, არც ბევრი ფეხი უნდა ირეოდეს შიგ, ყმაწვილებსაც ხომ სულ არ შეეცლება. შედის ხოლმე მარტო უფროსი დედა-კაცი, რომელიც ყველაზედ მეტად დანებდებოდა ქვის მოვლაში და ზედ-მიწევით იცის ქვის ცხოვრება. იგი დედაბერი ხელს უწყობს ცეცხლსა, რომ მეტი ან ნაკლები არ მოუვიდეს. (*). ამას გარდა ყოველ ცისამარა დღეს, მზე რომ აღმოსავლეთიდან ამოაშუქებს (თუ მზიანი დღეა), დედაბერი თესლს გამოიტანს გარეთ მზისთვის „პირი საჩვენებლად“; თავის კალთაში გაშლის თესლსა, თითოთ აურევს სამჯერ, დაუწურუნებს (ერთი, გაიღვიძეთო) და ინატრებს კარგ მოსავალს; შემდეგ ისევ სახლში შეიტანს...

ორსამ დღეზე მარცვლების ერთი მხარე ანუ გვერდი გაუმარაღდება. ეს ჰინიანებს, რომ მეორე დღემდე ქია გახერხებავს თესლის კანს და გამოვა იმ გაუმარაღებულ ადგილიდან. ასრეც ჰხდება. მეორე დღეს დედაბერი ძლიერ-ძლიერობით თესლის ადგილას ამჩნევს ფრიად პაწია შავ ცხოველებს, ესენი არიან ნემსის წვერის ოდენი, «ბუსუსიანი» (ბანჯგვლიანი) მატლები, სუსტნი და უჯანონი, რომელნიც დაბადების დღეს ულონობისა და უძლურებისა გამო ვერასა სკამენ. მეორე დღეს კი დედაბერი ბაღში მოპკრეფავს კუკურსა, ნორჩ ფოთლებსა, მოიტანს, საბაღე საკუწავით (წალდი) დაკუწავს და ამ

(*). დიდს შემწეობას მისცემდა მათ ამ შემთხვევაში თერმომეტრი, მაგრამ რადგანაც ამისი ცოდნა არა აქვთ, ჰავას გარადიო, გამოცდილებით ტუპობულობენ და, რასაკვირველია, ზშირად სცდებიან და ზარალობენ.

დარბილებულ - დაწერილებულ საქმელს, ქიან ფრთხილად მდაყრის. ამ დღიდან იწყება ქამა და ზრდა ქიისა. დაბადების დღიდან პარკის შექმნამდის უნდება 30—35. და ამ დროს განმავლობაში მეტიეს უნდა ჰქონდეს დიდი გამოცდილება, ხელოვნება, რომ ქია არ დააზარალოს ან უზომოდ მიცემულ საქმელით, ან ჰავის მეტ-ნაკლებობით, ან და სხვა რამ მიზნებში.

მოკლე სიცოცხლე ქიისა იყოფა ხუთ ხანად: ა) 1—7 დღე. ამ დროს ქია შავის ფერისაა, ნაზი და სუსტი. საქმელად ეძლევა კუკურის დაკვირვებით ნორჩი ფოთლები. ხუთის — ან ექვსის დღის თავზე ქია ძილს მიეცემა, ესე იგი ცოტა წამოიწევს თავს და აღარასა სკამს. ამ მდგომარეობაში იგი ერთი ან ორი დღე, ბ) 7—14 დღეს ფერი მოყომარალო უხდება. სკამს მსხვილად დაკვირვს ფოთლებს. იძინებს; გ) 14—21 დღის განმავლობაში ფერი გაუთეთრდება. სკამს ქიათაღებს, ესე იგი ქიან დაუდებენ საქმელად ფოთლებიანს ნორჩს ტოტებს ბაღისას. იძინებს; დ) 21—28 ქია ნათელ-ფერს იღებს. აძლევენ საქმელად სწავლებს, ფოთლიან ტოტებს. იძინებს; ე) 28—35 ქიის კანი თხელდება, მჭერივალ-ნარჩარი, მოყვითალო ხდება; სკამს ხრალბს, ბოლოს ქამას თავს ანებებს და «ქმნის» პარკს.

პირველ ძილს რომ მოჩნება ქია, ინგილოები იტყვიან «ქია ერთისთუნ» (ერთისთენ) ამოვიდაო; მეორეს — «ორისთუნ» (ორისთენ), «სამისთუნ», «ათისთუნ», «სიქისთუნ»).

ხანებად დაყოფა ქიის მოკლე საუკუნისა ინგილოებისაგან მოგონილი არ არის. თვით მეცნიერნი, ქიის ცხოვრებას რომ დააკვირდნენ, აღიარეს იგი ხუთი ხანა, იმ განსხვავებით, რომ პირველ ხანასთვის დადებულია მზეზედ 5 დღე, მეორესთვის 4, მესამე და მეოთხესათვის ექვს-ექვსი და მეხუთესათვის 9 დღე.

ფერის ცვლებას მეცნიერება ასრე ჰხსნის: ქიან დაბადებულდან პარკის შექმნამდის აქვს ტანზედ ორი კანი. შავს იცვლის ყომარადად, ყომარას თეთრად, თეთრს ნათელად, ნათელს მჭერივალად. ხუთ გზის ძილი აგრეთვე აღიარებულია მეცნიერებისაგან.

(*). ეს უცხო ასო გამოსთქვი, როგორც გამოითქმის ფრანციული „ს“.

მაგრამ ჩვენ ისევე იმას დაუბრუნდეთ, — თუ როგორ უფლიან ინგილონი ქიასა. საქმის უცვლ გასაცნობად შევიდეთ ქიის სახლში, რომელიც შიაც საზოგადოდ დიდი სისუფთავე და სიფაქიზეა. რაც-კი რამ ავეჯეულობა, ქუჩქელი, ლოგინი და სხ. იყო სახლში, ეხლა სრულიად გამოტანილია გარედ ან და, თუ მეტიეს მეორე სახლიცა აქვს, — ყველაფერი იქ არას გადატანილი.

პირველ ორ ხანაში სახლში ენახეთ ქერზე ჩამოკიდებულ ლასტებს და ჩაფრებს, რომლებზედაც გადაშლილია საფენი და ზედ ქიის მატლები დაცოცავენ, სკამენ, ან ისევე-ბენ გამამდარნი, — შემდეგ სამ ხანაში ენახეთ, რომ ჩაფარ-დასტები აღარ არის სახლში, მათ მაგიერ ჩარიგებულან «ტოლები», ესე იგი სახლის მიწის იატაკზე *) ჩამწკრივებულია ქიის კვლები — ტოლოლოდ. ტოლების შუა პატარა ბილიკია დაშთენილი სავალ გზად, რომელიც საჭიროა ქიის დასახედავად და მისთვის ხრალბის დასაყრელად. დღეში სამჯერ ხრალბის დაქრისა გამო ტოლები ამალბებულა და ქიანი მასზე თეთრად ანათებენ. აი დაუწყეს ქიებს ფოთლიანი ხრალბი. ქიანი აცოცდნენ ფოთლებზე და ხრალბად დაუწყეს ქამა. მთელს სახლში გაისმა შრიალი და ზღვა ქიათა შეუდგა თავის საქმეს: ჰხრავენ ფოთლებს გაფაციცებთა და გაჩქარებთ, თითქო ერთმანერთს ებაახებიან — აბავინ უფრო ბევრს შესკამსო.

ამ ნაირად ხუთ კვირზედ პაწია მატული ჰხდება სისქე-სიგრძით თითქმის კაცის ნეკის ოდენი და ხან უფრო გრქელიცა. ახლა იწყებს იგი პარკის შექმნას. მაგრამ, რომ შიგ «ნაზირში» (ნაძირალი, ესე იგი უფოთლოდ დაშთენილი ბაღის ტოტები (ხრალბი) არ შექმნას პარკი, ტოლებს სცახვენ, ე. ი. ზედ ტოლებზე ცახებს ჩაურკობენ კარვების მსგავსად ქიები აღიან ცახზე, აბავენ აბლაბუდას (ბუდეს) და შიგ ამ ბუდეში აკეთებენ პარკებს. ქსელი გამოდის პატარა ხორთუმიდამ, რომელიც აბია ქვემო ტუჩზე. ქსლის ქსელზე მისაკრავად პირიდან ქიან გამოსდის წებოს მსგავსი წვენი. სამ დღეზედ პარ-

*) სახლები ჩვენში მიწის პირად არის აწუნებული და, რასაკვირველია, იატაკიც ბუნებრივი — დალოცვილის შავის მიწისა.

კი მზადა აქვს. უფრო ადრე დაამზადებდა, რომ წებოს გამზობა არ იყოს საჭირო ამ-ტომ ეს საკვირველი მწერი პარკის დასრულებამდის სამჯერ ანუ ოთხჯერ ისვენებს. პარკს ჰქმნის შიგნიდან, ასე რომ მუშაობას დასრულებს და თვითონაც შიგ პარკში მოკუცება და კუჭად იქცევა.

კუჭი ერთ კვირზედ უქმელ-უსმეულია. მეტზე ტანიდან გამოუშვებს ბაღამს (შხამიან წვენს), რომელიც სწვეს და ხერხეავს პარკს და კუჭი, პეველად ქცეული, გამოძვრება თვის-გან გაკეთებულ სატუსალოდამ. მას აქვს ფეხები, ორი რქა (სქელი ულვაში) და ფრთები, პირი-კი არა აქვს. გამოსვლისავე უმაღლ მაშალი დაეძებს დედლსა შესაერთებლად უკანა ტანიდამ. შეერთებულნი რჩებიან ერთ ადგილას მთელი დღე და დიდხანსაც დარჩებიან, თუ აღამიანმა არ განაშორა იგინი...

განშორების შემდეგ მამალ პეველეს გადაპყრინ ხოლმე, დედლები კი უკანა ტანიდან სდებენ კვერცხებს (4,000—6,000-მდე მარცვალს ყოველი) და დაიხრცებიან. კვერცხები ჯერ ყვითელი ფერისაა, მეტზე-კი გაცის-ფერდება. აი ეს კვერცხები არის აბრეშუმის ქიის თესლი.

1885 წ. ადგილობრივ ადმინისტრაციისაგან შეკრებილი ცნობები გვიჩვენებენ, რომ მთელს ზაქათალის მაზრაში გაყიდულა 480 ფუთი ხმელი პარკი, ფუთი 22—26 მან. არავის ახსოვს, რომ ხმელი პარკის ფუთი 40—50 მან. დაბლა გაყიდულიყოს. შარშანდელი აბრეშუმის მოსავალი საშუალო მოსავალზედაც ნაკლები იყო.

დაბა ტ სოფელი

(მოწერილი ამაჟი)
 ჩოხბატაშრი. სოფელს ფარცხმაში ერთი თთვის განმავლობაში 12-მდე კაცი გამოესალმა წუთის სოფელს. მომეტებული ნაწილი ყვლის ტკივლით (эксплатина) დაიხრცა. ეს სენი სამი თვე მეტია რაც გურუის სხვა-და-სხვა სოფლებში მძინვარებს და აქამდე ვერც კი გაუგიათ სწორედ, რა სახელი დაარქვენ

ნება-კი მხიარულებს. სასაფლაოზედ ჩიტები მხიარულის ქიკიკით ბანს აძლევენ განსვენების გლობას. ია და ზამბანი გაკვირვებით გამოიქტირებიან ბუჩქებიდამ, როგორა მარხავენ საფლავში იულიასაო. მათი სურნელება უერთდება საქმლის სუნს. მიწას ყრუდ გააქვს ხმა იულიას კუბოს თავზედ; ბებია ღრიალით იწვევს საფლავისაკენ; მწუნარედ გაისმის «საუკუნოდ განიცვენს» ხმა, და საცეცხლოურის ბოლი ტრიალითა და ხვევით მიემართება მაღლა ლურჯის ცისაკენ.

აავსეს სამარე, დაავარაკეს. ბებია აპვლიჯეს მიწას და წაიყვანეს. წაიღნენ ყველანი. დარჩა მარტო მოღიმა-რი ბუნება, სურნელოვანის ია-ზამბანით, მწვენე შრიალა ფოთლით, მოკიკიკე ჩიტებითა. დარჩა უტყვი გორაკი. ამ დროს რაღაცა საოცარი მოხდა: ყველის კოკრებიდან, ხის ყლორტებიდან, ლურჯის ციდან ჩამოვიდნენ პაწია არსებანი, პატარა

ფელეტონი

კმეკმა გაატალოს, ოსკრმა, ოსრად დაძინაღმა ოსრადვე ისეტილოს.

ნეტა ან გაცის სიცოცხლე გაქტანდეს საუკუნოდა; ან იმდინად შეფარდებულის იღბადი მაინც ჰქონოდა — ამ მუდღაღს წუთი სოფელში სრულ ყველაფერი ჰსცოდნოდა.

განქე, მეშველი არა ჰქავს წყლის წაღებულსა უმასო, ღამის შემქმამოს სურვილმა, რა უფა გულის თქმასო?

გონება მოიღალბა, გული დაღდა გრძობამა; ყველაფრის ცოდნის წყურვილის მოკვლისა უდონობამა!

პაჩანა

კვებ განქრდეს საქთობა, აღარები ატრემიანას. სკვდამ მოიციას სოფელი,

ორი სიკვდილი

ჭ ა ნ ტ ა ზ ა ა

(სათარგმნე)

იულია გარდაიცვალა. ის მხოლოდ თექვსმეტის წლისა იყო და მანც გარდაიცვალა, მისი მოხუცი ბებია-კი ცოცხალი დარჩა და უნუგეზოდ დასტირის გარდაცვალების გემს. ის-ის იყო გაზაფხული დაიწყო. ეს გრძნეული ყველას და ყოველს აცხოველებს, საბრალო იულია-კი მოკლა. თოვლი უკვე დადნა დედა-მეწაფედ, მიწა გაშრა და ამწვანდა. ალობლის ხეები ყვავილებით შეიმოსნენ და საქარწინო კაბაში მორთული პატარძალივითა დგანან. ტფილი ნიავი ეთამაშება მათს ყლორტებს და თეთრს ფურცელს აყრევიანებს მწვენე ბალახზედ. იულიას სახლის ფანჯრებთან მდგარის ხეებიდან ჩამოცივებული ფურცელი ოთახ-

შიაც-კი ეცემიან და იატაკს აყვავებენ კუბოს ახლო.

მზე ისე მხიარულად გამოიყურება, ჩიტები ქიკიკობენ ნორჩ სურნელოვან ფოთლებში შემალულნი; კაცების სახემ დაპკარვა ზამთრის მკაცრი გამომეტყველება და იმედითა ბრწყინავს. მხოლოდ იულიას სახეა ფერმიმკრთალი, მშვიდადა სძევს გარდაცვალებულის სახე და ბებიის სახე-კი ნაღველს შეუქმუნებია. «შენ რათა, იულიავ, ახალ-გაზდავ და მშვენიერო? — ბუტბუტებს მისი უკბილო პირი, — რატომ მე არა, დახვესებული ნანგრევი?» და ყვითელი, გამხმარი ხელები ნაღვლიანად ეხვევიან გარდაცვალებულს, გამხმარი ტუჩები ზედ აკედებიან ფერ-მკრთალს, უძრავს შუბლს, თვლებიდან-კი სცივია ცრემლიანი განსვენებულის თმებს.

ნაღვლიანად გააქვს გულ-გული სამრეკლოს. იულიას ასაფლავებენ. ბუ-

ამ სენს. ზოგადად ჰგონია, რომ საქონლის ქირა და ადამიანთა საქონლისგან გადადევნა ერთი სოფლის მწერალი სწერს, მაგალითად, თავის მოხსენებაში: „появилась скорлетиная болезнь отчего умерло двѣ коровы“, — ამა და ამ სოფელში მძინვარებს «болезны скоты, котора замѣтно переходить на люди», იწერება მეორე.

ჩვენს ხალხს წინაპართან ნაანდერძები აქვს სხვა-და-სხვა ცრუ-მორწმუნობა და მანებელი ჩვეულება. ამ ჩვეულებათა შორის დღეს ყურადღების ღირსია ტირილის, დასაფლავების წესები და განსაკუთრებით ზარით მოსვლა მიცვალებულის ნათესავებს მოვალეობად მიანიჭათ. „დამწვნიებული“ მოსვლა ზარით დამოკლებული მოყვრის შეძლებასა და თავ-მოყვარეობაზედ, მაგრამ თავ-მოყვარეობას ხშირად კაცი იქამდე მიჰყავს, რომ ვალის აღებასაც არ აღარ ერიდება, ოღონდ მდიდრულად მივიდეს ზარით ნათესავების მიცვალებულთან.

ბევრჯერ უცდიათ ზარების მოსვლა, მაგრამ ყველა ამ ცდას ამაოდ ჩაუთვლია. დღეს ხალხი თვითონ ჩაუფიქრდა თავის მდგომარეობას, თვითონ გრძობს, რომ ამ ჩვეულებას დიდი ზარალი მოაქვს და სცილობს თუ სრულიად არ მოსვობს, შეამციროს მაინც. ამ დღეებში ფარცხმის საზოგადოებაში მცხოვრებთა, წოდებთა განურჩევლად, მოილაპარაკეს ამის შესახებ და შეადგინეს განაჩენი, რომლითაც ბევრად შეამოკლეს დასაფლავების წესები: აღკრძალეს ზარით წასვლა სხვაგან და ვალდებული ჰქვდეს ქირის უფალი, რამდენადაც შესაძლოა, გწინააღმდეგოს თავის ნათესავს; თუ ზარით მოსვლა მოინდომოს; აღკრძალეს მოუწვეველის ხალხის მოსვლა ტირილზედ და მოუწვეველთა მღვდელთა, ბერთა და დიკანებთა... ქირის უფალს თუ ჰსურს, შეუქლიან რამდენიც უნდა, იმდენი მღვდელი მოიწვიოს.

ქირის უფალი ნიშნავს დღეს და საათის დასაფლავებისას, რომლისათვის მოიწვევს ნათესავებს და ხევის კაცებს უზაროთ, და უმასპინძლებს ამით ერთის და არა ორისა, სამისა და მეტის ჯერით, როგორც ეს დღემდე იყო. აირჩიეს რამდენიმე მეთვალყურე, რომელნიც ცდილობენ განაჩენის დაცვას და დამრღვევს 50 მანეთამდე ჯარიმას ანდენებენ სკოლის ან სხვა საზოგადო დაწესებულების სასარგებ-

კაცუნებსაც, ერთობით; ხელი ხელს გადახევის, დაბავს ფერხული ახალის საფლავის გარშემო და საუცხოვოსა და ზარიანის ხმით მორთეს ნელი და ნაღვლიანი გალობა. ჩიტები გაჩუმდნენ. ფურცლები აღარ იძვრიან. ნიავი ჩავარდა. თითქო, — ყველა მოხიბლულია საოცარის გალობით; თითქო, — ყველა დანაღვლიანდა, ყველა ჩაჩუმდა, ჩაფიქრდა. ნაღვლიანი სიმღერა თან და-თან სულ ნელად და წყნარად გაისმოდა და, დასასრულს, ერთიანად შესწყდა. საფლავის გორაკი მწვანე ხასხასა ბალახით შეიმოსა. მაშინ პატარა არსებებმა კვლავ მორთეს გალობა, ხოლო ცხლა-კი მათი ხმა მალადა და მხიარულად გაისმოდა. მათი სიხარული გადაედო ყველას და ყოველი ფერს, და ყველაფერმა დაიწყო გა-

ლოდ, აი მოკლედ განაჩენის შინა-არსი. პირველის შეხედვით კაცს ეგონება: განაჩენი რა საქონლი იყო? თუ ხალხმა იგრძნო რომელიმე ჩვეულების უფარგისობა, თვითონ უარ-ჰყოფს ამ ჩვეულებას, მორჩა და გათავდა; მაგრამ ასეც არ არის. რამდენა ჩვენში იმისთანა კაცი, რომელიც უარ-ჰყოფს ამ ჩვეულებას, როგორც მანებელს ჩვეულებას ან და სიღარიბის გამო უქირს ამ უზომო და უსარგებლო ხარჯის გაღება, მაგრამ მაინც ვერ მოუხერხებია, რადგანაც მეორე მისი შეძლებულს მეზობელს ეს ჩვეულება წმინდად აქვს დაცული; ისიც ამ უკანასკნელს ჰბაძავს ძალა უნებურად და თავის რწმენის და შეძლების წინააღმდეგ მოქმედებს. მაშინ შეიძლება მხოლოდ ამ ჩვეულებათა მოსაზობა, როცა ყველას ერთ ნაირად ექნება აღკრძალული. ასე გასინჯეთ თვითონ ფარცხმაც-კი, რომელმაც შემოხსენებული განაჩენი შეადგინა, შეუხებულა დღეს: რას იტყვიან ჩვენზედ სხვა სოფლების მცხოვრებნი. რადგან სხვა სოფლებშიაც კარგად გრძობენ დღეს ამ გვარ ჩვეულებათა უფარგისობას, ურიგო არ იქნება მთავრობა, რაც შეიძლება აღრე დაამტკიცებდეს ამ განაჩენს და სხვა სოფლებშიაც დაეხმარებოდეს თუ ამ გვარის განაჩენის შედგენას მოისურვებდნენ.

უხანელი

ნ ა რ კ ე ე ე ი

(ურნალ-გაზეთშია)

ყველა სახელმწიფოს მიჩნეობს უფრო ჰყავს სხვა სახელმწიფოებთან სამხედრო საქმის მკვლევარ და სანდო კაცები, რომელთაც სამხედრო აგენტებს უწოდებენ. ამ აგენტების მოვალეობა ის არის, რომ ურად-დებით თვალ-უერი ადევნონ სამხედრო საქმის მსვლელობას და დროზედ თავის სახელმწიფოს უკვლა დაწვრილებით აცნობონ. საქმე იმაშია, როგორ კაცებს ამოირჩევს სახელმწიფო და როგორ ადევნებს ურად-დებს მათ მოქმედებას. საუურად-დებთ ამ მხრივ გერმანიის სამხედრო აგენტები. აი გაზეთი «Московскія Вѣдомости»-ში რას ვკითხულობთ:

1870 წლის ომის წინ საფრანგეთს კარგი მოხერხებული სამხედრო აგენტი

ლობა: გალობდნენ ჩიტები, გალობდა წმინდა, სურნელოვანის ხმებით ია და ზამბახი; ხეები ლამაზად ხმაურობდნენ, ტოტებს იქნევდნენ, და მზის სხივებმა ოქროს სიმებსაც დააოქვს წყარუნი. ამ მუსიკის ხმაზედ გორაკზედ წყნარად და დიდად ამარ-თა მწვანე ღერი გრძელისა და ვიწრო ფოთლებით, და მის თავზედ გაიშალა მშვენიერი თეთრი ყვავილი. სურნელოვანება მოეფინა გარემოს, ახალმა ხმამ ბანი მისცა ბუნების ხმაურებსა და შეუერთდა საზოგადო ხმას, — სიკვდილზე გამარჯვების ხმას.

შემოდგომა. წვიმა ფანჯრების მიწებსა სცემს და ქუჩებში გუბებს აყენებს. შავი ღრუბელი გადაჰკრია ზე-

ჰყვანდა ზერლინში, ამბობს გაზეთი, მაგრამ მაინც არაფერი იცოდა, გერმანიაში რა ხდებოდა. ომის შემდეგ აღმოჩნდა, რომ საფრანგეთის სამხედრო სამინისტრო, არც კი ჰქნსიდა თავის აგენტის წერილებს, არ ჰქნსიდა იმ მიზეზის გამო, რომ მინისტრს სრულიად იმედი არ ჰქონდა, თუ ამ წერილებიდან იმაზედ მეტს გაიგებდა, რასაც სხვა აგენტები სწერდნენ. ამ უკანასკნელთა წერილებში კი უბრალო ყბელობის მეტი თურმე არა იყო-რა.

გერმანია-კი თურმე სულ სხვა ნაირად იქცეოდა. დღეს ურად-დებს აქცევდა აგენტების არჩევას და ამასთან იქნის ისე იყვნენ დაყენებული უცხო სახელმწიფოების წინაშე, ისეთი უფლება ეძლეოდათ, რომ აგენტებს სრული შეძლება ჰქონდათ, ბეჯითად ედევნებინათ უერი და ყოველი შეცდომა თუ სხვა გვარი ცვლილება ჯარში ადვილად შეენიშნათ. სამხედრო აგენტების მდგომარეობა უფრო უკეთესი იყო სხვა სახელმწიფოებში, ვიდრე ელჩებისა. ამიტომ გერმანიის სრულიად არა ჰყავს სამხედრო დასაწყობი, რომლებსაც სხვა სახელმწიფოები დიდ ურად-დებს აქცევდნენ. ამიტომაც გერმანია უფრო უკეთ იცავს თავის სამხედრო საიდუმლოებს და სხვისა-კი დაწვრილებით იცისო.

ორმოც-და-ათმა წელიწადმა გაიარა მას აქედ, რაც პირველად ითამაშეს სახელმწიფოს რუსის მწერლის, გოგოლის გამოჩენილი გამოცემა: „Ревизоръ“-ი. ეს შესანიშნავი დღე დიდის ამბით იდგესა-წაუღეს პეტერბურგსა და მოსკოვში, და ესდა სხვა ქალაქებშიც ემზადებოდა ამ დღესასწაულისთვის. ურიგო არ იქნება, ვაუწყოთ ჩვენს მკითხველებს, როგორ მიიღო რუსეთის საზოგადოებამ ეს უკვდავი გამოცემა, როდესაც იგი პირველად პეტერბურგის სცენაზე წარმოადგინეს.

დიდი, საშინელი ტანჯვა გამოიარა გოგოლი, სწერს გაზეთი „Новости“, „Ревизоръ“ ის პირველად წარმოადგინეს შემდეგ. ავტორს სდევნიდა ყველა, ვისაც-კი შეეძლო. მოწინავე რუსეთის საზოგადოება გულ-მოსული, გაბრაზებული გაიხსნა თურმე: ამას ვერ მოვიტყენით! „მოუღი კომედია სიცრუეა, ცილის-წყა-მება რუსის მოხელეებისა, თავდა-ზნაურობისა და გაჭრების მიმართო.“ მოუღი მწერლობაც თითქმის ამავე აზრისა იყო. პეტერბურგის ურნალ-გაზეთობა იმ დროს თითქმის ორის კაცის ხელში იყო: ბუღარინისა, რომელსაც გოგოლი დაცინებდა თურმე „სახელმწიფო კაცს“ ეპაზდა, და სენკოვსკისა, რომელზედაც იგივე გოგოლი მწირად ამბობდა თურმე: „სენკოვსკის არც-კი ახსოვს, რასაც თვითონვე ამბობს.“ ეს ორივე მწერალი საშინელის სასტიკობით

წარად ცასა, რომელსაც მადლიანი მზე ვერ არღვევს და ვერ ასხივონებს ქვეყანას.

ბნელს ღარბაზში კუბო სდგას, ამ კუბოში იულიას ბებია ასვენია. იულიასთან ერთად ვაჰკა მისის ცხოვრების უკანასკნელი სინათლე, ქვეყანა და ცარიელი მისთვის, ცხოვრებამ თვისი მიმზიდველობა დაჰკარგა. ის გარდაიცვალა. მის გვამს დამტკიცებელი არა ჰყავს. იქვე კუთხეში შავებში შემოსილი მონაზანი მწუხარედ კითხულობს, ამოქნარებს და პირზედ ჯვარს ისახავს. სანთლები ბუნდად ანთია გარდაცვალებულის გარშემო და წითელს ფერსა ჰფენენ მის გამხმარს ხანს. მან დიდხანს იცოცხლა, ბევრი სიხარული და მწუხარება გამოიარა. ეღირსა სასურველი დასასრული: აღარ ესმის წვიმის შხაპუნი, ქარის ზუზუ-

მოქმენო გოგოლსა. სახელგან-ავტორს უკვდავის კომედიისა, დასცინოდნენ, უარსა-ჰყოფდნენ საზოგადოდ მის ნიქსა და მის დრამატულ ლიტერატურაში რომ ნატამალ ჰქუასაც ვერა ჰპოვებდნენ. ეს კიდევ არაფერი: გოგოლს საქვეყნოდ, ბეჭდვით, „რუსეთის მტრობასა,“ სახელმწიფოს წინააღმდეგობასა სწამებდნენ და ათას გვარ დანაშაულობას ბრალდა სდებდნენ.

სენკოვსკი და ბუღარინი სდევნიდნენ იმ კაცსა, რომელმაც საუკუნო სახსოვარი დასტოვა თავის სამშობლოში; სდევნიდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ იმ კაცსა, რომელსაც მამულისთვის გული შესტკიოდა. ძნელი იყო გოგოლის მდგომარეობა, ძნელია ნიქტიერის კაცის სიცოცხლე იქ, სადაც სენკოვსკი და ბუღარინისთანა კაცნი მძლავრობენ. მაგრამ გოგოლისთანა კაცებს ეს მაინცა ჰრჩებათ სასუკეობად.

სჯობს სიცოცხლესა ნაძრასსა სიკვდილი სახელგანანი.

უსანაური მოვლენა.

დიდ ყურადღებას იქცევს ეხლა როგორც საზოგადოებისა, ისე მეცნიერებისა ერთ გვარი მოვლენა, რომელსაც ჰინოტიზმს ანუ ჰინოზს უწოდებენ. აი ეს მოვლენა რაში მდგომარეობს: კაცი თუ რამდენსამე ხანს სრულიად მიეცა ერთ რაიმე ფიქრს, მაგალითად, თუ თვალი გაუშტრა რაიმე ბრჭყენვალე საგანსა, ან ყური უგდო უბის საათის ერთ ნაირ ცემას, — ჯერ თითქოს ბურანში შადის, მერე ღრმა ძილს ეძლევა და ისე სრულიად ჰკარგავს გრძობიერებასა, რომ, ტანი ნემსითაც რომ დაუხსნელიტოთ, ვერაფერსა ჰგრძობს; კაცი თვალზე დახუჭული, გაშემებული დგას ერთს ადგილას და ადგილიდამ ვეღარ იძვრის, მაგრამ აი საკვირველი რა არის: საკმაოა, ვთქვათ, დაამთქნაროს იმან, ვინც ეს უცნაურად დაძინებული ამ მდგომარეობამდინ მოიყვანა, რომ ამ უკანასკნელმაც მაშინვე დაამთქნაროს, — ტაში დაჰკრას, რომ ამანაც მაშინვე ტაში ააყოლოს, ფენის ხმაურობით გაიაროს, რომ ესეც მაშინვე უკან ვაჰკვს. ეს კიდევ არაფერი. ჩვენის საკუთარის თვლით გინახავს, პეტერბურგში, სოლიანოი გაროლოკში, როგორ გააოცა ექიმმა ლიმონმა ერთს კრებაზე დამსწრე

ნი, მონაზნის ჩუმი კითხვა. ნიშნები ცრემლებისა და ლიმონისა, მწუხარებისა და ბედნიერებისა, მომაკვდავის ტანჯვის ნიშნები აღარ არის მის სახეზედ, ალაგი მშვიდის განსვენებისათვის დაუთმია. განსვენება, განსვენება და განსვენება!

წვიმასა და ტალახში მიაქვთ ბებია უკანასკნელს საღვურში. საფლავის გარშემო ნაღვლიანად ჩამწკრივებულან ტიტველა ხეები და ბუჩქები; ია და ზამბახი მიწის ქვეშ დამალულან და მშვიდადა სძინაეთ. საფლავში წყალი ჩამდგარა. კუბო ჩადგეს წყალში სველი თიხა ეცემა წყალში და ტალახითა სწუნწკლავს კუბოს თეთრს ფარჩას.

ჩაჰვლეს ბებია, მაგრად დატკვნეს სველი მიწა, დაგორაკეს და წაიედნენ. მწუხარება ზუზუნებს ქარიშხალი, ხეებს ნაღვლიანად ჩამოუყიდნათ

ხალხი, რომლის შორის უბრალო სიკვდილის შეილებს გარდა, გამოჩენილი პეტერბურგის პროფესორები, მსწავლეული და განთქმული ექიმებიც იყვნენ. ექიმმა ჰინოზით გამოსცადა რამდენიმე კაცი და აი რა საოცარი საქმეები ჩაიდინა. გამოიყვანა ერთი ახალ-გაზდა ყმაწილი კაცი, დასვა სკამზე და ხუთ წამამდე ერთ მგერალ ბრჭყვილა ღილს აყურებინა. ახალ-გაზდა კაცი ღრმა ძილს მიეცა და სრულიად გაშეშდა. ულიტინეს, ნემსი უხსვლიტეს ხელის გულში, მკლავში, მაგრამ ამან მაინც ვერაფერი იგრძნო. ექიმმა ხმა მალლა უთხრა: — ადგიო. ჰინოზით დაძინებული ნელ-ნელა წამოღდა.

— უკან გამოიყვინო, უთხრა ექიმმა იმავე ხმით და თან რამდენჯერმე მიმედ ფეხი გადადგა. მძინარე მოჩვენებასა ერთ გაშეშებულს, ფთხილად და მაგრა ფენის ცემით, უკან ვაჰკვა. ექიმი კვდელთან შესდგა და მძინარეც მაშინვე შეჩერდა.

— ხომ ჰხედავთ, განაგრო ექიმმა, ზოლოციურ ბაღში ვართ. მძინარეს სახეზე რალაც გაოცება და შიში გამოეხატა.

— აგერ დამწყვედულის ლომის გალია, ამბობს ისევე ექიმი, ლომი გალიას ამტყრევს.

მძინარეს შიშით თავზე თმა ებურძნება.

— ლომმა გალია გამოამტკრია, გამოვიდა, თავს უშველეთ!

შიშით ზარ-დაცემული, თითქოს გონებას მოსული მძინარე, წინდაუხედავად მირბის ესტრადილამ. გზაზე სტოლები, სკამები ჰხედება, მაგრამ მას ვერა-რა იჭერს და კიბილამ ჩამოტყამას აპირებს. აქ რამდენიმე კაცმა გზა გადუღობეს, ნაშატირის სპირტი ასუნებინეს და მძინარეს უეცრად გამოევიდა. თითონვე ძალიან გაუყვირდა, როდესაც უამბეს ყველაფერი, რაც მან ძილში ჩაიდინა.

მეორე საკადი უფრო საოცარი იყო. გამოიყვანა ექიმმა კიდევ ახალ-გაზდა კაცი. დასვა სკამზე, დაუწყო საფარცხლით ნახევარის თავის ერთ-მხრივ ვარცხნა, და თან უთხრა ახალ-გაზდა კაცს, რომ ნელ-ნელა თვლა დაეწყო. დაიწყო თვლა: მივიდა თუ არა ცხრამეტამდინ, ახალ-გაზდა კაცს ენა ჩაჰვარდა, ცალი თვლი დაეხუჭა და ერთი ხელი და ფეხი სრულიად წაერთო. მეორე ფეხსა და ხელს-კი თავისუფლად ხმარობდა, ცალი თვა-

შტოები და აბნევენ საფლავზე ცივს ცრემლებს. ამ ცრემლებიდან არ ამოვა მწვანე ხასხასა ბალახი! მწუხარედა ზუზუნებს ქარიშხალი, თითქო დამღვრისო: „იძინე, განისვენე! აქამდინ სცხოვრობდი, სცოცხლობდი, დარლობდი და მხიარულობდი, ეხლა განისვენე!“ — მწუხარედა ზუზუნებს ქარიშხალი, ხეების ცრემლი ყინულად გარდიქა და გრძელ, გამსჭირვალს სვეტებად დაეკიდა ტოტებს. ციდან ხევითა და ტრილითა ძირს ეცემა თეთრის ვარსკვლავების გუნდი და თეთრის სამოსელითა ჰმოსავს ჯაგებსა, ხეებსა და ახალს გორაკს. იძინე, განისვენე!

ლითაც კარგად ჰხედავდა. ამ გვარ მოვლენას ექიმმა ცალ-კერძო ჰინოზი დაარქვა. მერე ნახევრად დაღმბლიანად კაცი დაძინეს. ეს საოცარი კაცი ისეთს ღრმა ძილს მიეცა, ისე დაკარგა ყოველივე გრძობა, რომ თითქოს სიცოცხლეს სრულიად გამოეთხოვა. დადგეს მერე ორი სკამი შორი-შორს. ერთზე თავი დაუდგეს, მეორეზე—ფეხები. მიძინარე ისე ილა, თითქო უგრძობი ხეო. ექიმი ჯერ ზედ დაჯდა, მერე ორისავე ფეხით ზედ შუა ტანზე შესდგა, მაგრამ ერთ ბეწოდაც ვერ დაზინა. როდესაც დაძინებული გამოაღვიძეს, ცოტა ხანს გაშტერებული იყო და რალაც დაღლილობას ჰგრძობდა. ეს მაგალითებიც საკმაოა, რომ მკითხველმა ცოტათი მაინც გაიცნოს ის უცნაური მოვლენა, რომელსაც ჰინოტიზმს ეძახიან. ვამბობთ, უცნაური იმიტომ, რომ აქამდე მეცნიერებს ვერ გამოუყვლივიათ, ვერ გაუგიათ ნამდვილად, რა არის ჰინოტიზმი, თუმცა ეს მოვლენა ახალი ამბავი-კი არ არის. ჰინოტიზმი, ძველ დროშიაც სტოინია კაცობრიობას. მხოლოდ მაშინ ეს ძალა ცხოველებზე უცლიათ და არა ადამიანზე. მაგალითად, ძველ დროში ინდოელებსაც-კი სტოინიათ ჰინოზის გავლენა ქათამზე. ქათამს რომ კისერი მოუგრძობოთ და თავი ფთას ქვეშ ამოუღოთ, ფეხსაც აღარ გაანძრევს. ამის მიზეზი ჰინოზია, როცა ქათამი ასეთს მდგომარეობაშია, დაღთ შავ ფიცარზე, თავი ამოუღეთ და თვალ-წინ ცარკით (მელით) თეთრი ხაზი გაუღეთ. ქათამი ამ ხაზს თვალს გააყოლებს და თუ ხელით არ შეანძრევთ, რამდენსამე საათს უძრავად იქნება.

(შემდეგი იქნება)

გასართობი

მხუჯების წარმოდგენა. გავითი Tägliche Rundschau გვაუწყებს, რომ ამის წინედ ლონდონში გამართეს მუხუჯ სანტერესო წარმოდგენა. ქუჩაში გაკრული უმუხუჯელები განცხადებები ატყობინებდნენ საზოგადოებას, რომ „სამხრეთ ლონდონის დრამატული საზოგადოება“ წარმოადგენს €კამლეტსა; ამ წარმოდგენაზე 600-მდე მხუჯი მხუჯელები დაესწრო. ავანსცენის მარჯვენა მხარეზედ სტოლზე იდგა ამ საზოგადოების სეკრეტარი და სიტყუებითა სწნიდა მოთამაშეთა ნიშნებს, რადგანაც საზოგადოებაში იმისთანებაც იყვნენ, რომელნიც თუშვა მხუჯები იყვნენ, მაგრამ უერთ-კი არ აუღებო. მხუჯნი დიდის ყურადღებით ადევნებდნენ მოთამაშეთ თვალს, და თავიანთ სინარულსა და კამათილებას ხელებით ანიშნებდნენ ერთი-ერთმანეთს, რაც წარმოდგენას სრულიად არ უშლიდა. პიესა მუხუჯე შემოკლებული იყო; კამლეტის როლი ძალიან კარგად შეასრულეს. ოველიამ ის ადგილი, საცა ბაღლადაა დიდის გრძობით შესრულდა და გაგუების სცენაში მუხუჯიერი იყო.

ახარებული ამბავი. გაზ. „Рус. В.“ შემდეგს ახიარებულს ამბავს ვითხულობთ „Од. В.“ გადამოქმედის: მარტში 1883 წ. პეტრე-პავლეს განყოფილების პოლიციამ ოდესსაში შეიპორო ერთი ჯარის-კაცის შვილი ივანე პავლიუკოვი, რომელსაც ორი ძველი შლია, სამსამ შურად ღირებული ეჭირა ხელში. რადგანაც პავლიუკოვა განაწინადა, რომ ეს შლიაპები მე მკუთუნისა და პოლიციამ-კი არ ირწმუნა მისი სიტყუები, შვიდს პოლიციის განყოფილებაში შორის გაიშაროთ განცხადებული მიწერ-მოწერა ამ შლიაპების პატრონის საპოვნელად და სამ წელიწადს გასტანა. გახუთებში გამო-

საცხადებლად, რომელიც არაინა კითხულობს, ათს მანათამდე დახარჯეს—მაგრამ მაინც პატრონი არ გამოჩნდა და ამიტომ საქმე სხვა რიგად დაუტოვებდა. გარდასწვევითეს შლიაპები ისევე პავლიუკოვისათვის გარდაეცაო. მაგრამ ეს უკანასკნელი საღვალე ჩაიფლავა და აღარ გამოჩნდა. ახლა ხელ-ახლად იმისა ძებნა მოუნდათ. ახალი მიწერ-მოწერა აგერ მესამე თვეა ჰსწარმოებს. პავლიუკოვს ძალიან არ ალონებს შლიაპების პედ-იღბალი და მის ძებნას მკონი ბოლო აღარ ექმნება. ერთს ცუდა გაცს, რომელიც საკანცელიარო საქმეებში გამოქნილია, უანგარიშნია, რომ მიწერ-მოწერა ამ ორ ძველ შლიაპზე პოლიციას 700 მან. დაუფდა. 100 მწერალს ოთხ-ოთხი საათი უმუშავიათ ამ საქმეზედ, 7 პრისტავს ორ-ორჯელ მოუწერიათ ხელი ყოველ ქალაქზედ, 7 პრისტავის თანაშემწესაც აგრეთვე გადუწინებიათ ეს ქალაქები და ხელი მოუწერიათ, 65 პოლიციის მოხელეს გამოუძიებიათ და მათი პატრონები უძებნიათ, ქალაქების ტარებაში ერთის პოლიციის განყოფილებიდან მეორეში ამ საქმის შესახებ 100 გაცს მიუღია მონაწილეობა. თუ გინდა ამ ბატონს ერთი ორად და ერთი სამადაც გაუზიადებინოს ეს რიცხვი, მაინც ამ აუარებელის ქალაქის ხარჯებს ამბავი დიდხანს დარჩება სასოვრად განცელიარის ისტორიაში. თუმცა ეს სამ-შურად ღირებული შლიაპები, ენლა გროზადაც არა ჰლორს, მაინც ამ საქმის შესახებ მიწერ-მოწერა ენლაც ჰსწარმოებს.

დეკემბ

26 აპრილს

უშა. დღეს შეუდგენენ უჭიმის რკინის გზის გაკეთებასა,

ატიონა. ხუთის დიდთა სახელმწიფოთა წარმომადგენელთ, მათ რიცხუში რუსეთისამც, აუწყეს საბერძნეთის მთავრობას, რომ ეკვადრების უფროსთ ემბანთ ალფა შემოარტყან დღეიდან საბერძნეთის ნაწილებსა და ყოველი გემი საბერძნეთისა, რამელიც ედებო, რომ ალფა განდგინეს, შეპერობილ იქმნება. საბერძნეთი ამას სცდილობს, რომ სიქელეთის მხრით თავი დაიცვას მსოფლიოდ, რადგანაც განდგინა, რომ თუ ამას დაწყება იქნება, ოსმალეთმა დაიწყოს ისეცა.

27 აპრილს

პეტროპოლისი. ხაერო განათლების მინისტრის ამხანაგი ამბობს ცარეულისაში სწავლა განათლების მსწერ-ველთა მიმართ, რომ ზოგაერთი ეჭვი გამოაწვია 1878 წ. 23 ოქტომბრის განცხადება. ეს ის განცხადება, რომლითაც განმარტებულა, რა წესით უნდა ეძლეოდეს შემწეობა ერობათა, ქალაქის საზოგადოებათა და წადებათა მიერ მთავრობის საწავლებლებსა. მიგატყვევ თქვენ ყურადღებას, ამბობს მინისტრის ამხანაგი, ხედავთ განმარტებას ამ განცხადებას ერობის ამ გვარის ეჭვის გამოცა და გთხოვთ ისმარათ დანახებო, რათა შემოახსენებულ დაწესებულებათა დადგინება სხლად დაწახანებულ ან უკვე დაწესებულ სასწავლებელთა შემწეობაზე განხარებად იყოთ ხლდე შედგენილია და ცხადად და განკვეთით იხსენიებდეს, რა გვარი შემწეობა ადოქმულია; თუ არ ამ წინადაცთ, ამის აქით, ადარც ხანდის სასწავლებლის დაწესების და ადარც უკვე დაწესებულ სასწავ-

ლებელთა განკვეთება და განადგობა იქნება შესაძლებელია.

სამხედრო მინისტრი გუშინ დი-განდას წა იდაო.

ატიონა. ინგლისისა და იტალიის ელჩნი ათინადამ მოვიდნენ სულ-შიო.

ატიონა. ალფა შემოარტყელი აქვს მოქალაქე მდინარეების ნაწილს საბერძნეთისსა. დასავლეთისკენ-კი—მხოლოდ კარინთის ყურეს აქვს გზა შეკრულია.

საფრანგეთის აფიანებმა, რომელთაც მანდობილი ჰქონდათ, რომ საბერძნეთის ჯარება სხლ წესზე დაეყენებინათ, მაიღეს ბრძანება თავიანთ მთავრობისკენ, რომ შეაყენეთ თავიანთი საქმე, ვადრე ოსმალ-ბერძენთა შუდელი გათავგებოდნენ.

ბეშარასტი. კრეტულესგან მაგიერ რუმინის ელჩად შეტერებურგმა დაინაშნა ესლანდელი ელჩი სტამბოლისკა გაეცა.

ატიონა. დელანისამ დაუგზან საბერძნეთის ოწარმომადგენელ სამხედრო-გარედ ცარეულისა და ამბობს, რომ გზაშია, ვაი თუ ოსმალეთი თავს დაესხას საბერძნეთსა, რადგან მის ნაწილებს ალფა აქვთ შემოარტყულია. მე არა მხუდს, რომ ქვეყანას ხეთი უბედურება ეწვაოს და ამიტომ განდგინა წყვეტა სამხარეთადამ გამოვიდეთ.

ბელბრადი. განწვევებული ამბავი მოვიდა სკუბინასა არჩევანების თანახმად: ამოარჩულ იქმნენ 60 მამხრე მთავრობისა, 38 რადიკალია, 15 გაცა რისციანის დანახანია და ხუთი ვადრე ასეთისა, რომელნიც არც ერთის რამელიცე განკვეთის დანახანა არ არაანა. ოთხი დამატებითი არჩევანი ვადრე იქნება საჭროვო. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ 40 წევრს სკუბინისა წინაშე ვარდია, გამოვსა, რომ მთავრობის დანახანა 100 წევრია იქმნება და მის მოწინააღმდეგე 58.

28 აპრილს

ატიონა. კორთლამ არ შეიწინარა კაბინეთის სამხარეთადამ გამოხვდა და განაცხადა, რომ დელანისაი ცადებულები გამოვიდნენ საბერძნეთი დღევანდელ განდგინებამა. დელანის-კი მაინც თავის თხოვან უკან არ მიაქვს და ამბობს: ქვეყანა ისეთ დიდ განდგინებაშია, რომ საჩქაროდ საქმის განდგინება აუცილებლად საჭიროა. ესლანდელ კაბინეტს-კი არ შეუძლიან ჯანს თოფიანდა სწყეროს, რადგანაც ამას საბერძნეთის ენა თავის დანახების დამცინებლად ჩანოვლისა.

ინფორმისა უოსტა.

ქ. ს—ს. სტ. ი. კ—ქს. დანსია მდლობას, მაგრამ სსვა-და-სსვა მიხეცთა გამო თქვენ თხოვანს ვერ ვასრულებთ.

დ. ს—ს. გურულს მ. მ—ქს. თქვენი „საქმეები“ მეტად უფოსა, არ დაიქვდა.

ქ. გ—ს. პატარა შეიგრდს ი. თ—შუელს. კარგი იქნება, რომ დეკისსი წერს თავი დანახეთ, ვერ სანად მაინც.

ქ. ტ—ს. გ. გ—გას. არც ერთი თქვენი დეკისი არ დაიბეჭდა. თქვენს დეკისებში ყველაფერის გარდა ი.ს.ა, რასაც შოკისას ეძახიან.

ქ. გ—ს. ი. მ—ქს. თქვენი „შოკეტი და შოკეტი“ არც შოკეტი და არც შოკეტი. არ გვესმის რადა და რისთვის დავიკარგეთ დრო.

საქალაქმდრო ონობანი

ქრისტეს აქედ ჩუპ (1886) წელიწადია.

ქვეყნის შემხიდამ 7394.
ქველი ინდიქტიონი მე-14,
ამისი ქორონიკონი—უოს=478
წელია. დიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.
ახალი ინდიქტიონი მე-4,
ამისი ქორონიკონი—მ=42 წელიწადია. დიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1886 წლის ზედ-ნაღები—3.

ყველიერი მოდის 16 შუბურულს, დიდ-მარცვა—23 შუბურულს, ადგობა—13 აპრილს, ამაღლება—22 მაისს, სულის-წმიდის მოსვლა—1 იუნისს, ამაღლიდამ იწუბა 3ეტრე-3ავლობის მარცვა. ეს მარცვა 1886 წელს 2 გირით და 6 დლით არის.

აპრილი 30 დლით არის.

29 დღე სამშაბათი. წმ. ცხრათა მიწამეთა. შობა მ. უმ. სურვი ალექსანდრეს მისა (29 წლისა). კათ. წმ. იოსებ; პეტრე. მუსულმანთა: 8 დღე თვისა შაბავე 1303 ჰიდრისა. პირველი ხარისხი მთავროსა. ქეშარიტი შუადღე 11—56—12. ტულისში მზე ამოდის 4—44; ჩადის 7—8 მთვარე ამოდის 12—1; ჩადის 21—43 ნღ.

30 დღე ოთხშაბათი. წმ. მოციქულისა იაკობ, მისა წმ. იონე მანარებლისა. მოწ. მასქიმესი. კათ. ეპატერინესი, სვერ ეპისკ. და სოფიოსი. ქეშარიტი შუადღე 11—55—10. ტულისში მზე ამოდის 4—34; ჩადის 7—9. მთვარე ამოდის 1—8; ჩადის 1—15 ნღ.

მაინი 31 დლით არის.

1 დღე ხუთშაბათი. იერემია წინასწარმეტყველისა კათ. ფილიპესი და იაკობისა. ქეშარიტი შუადღე 11—56—9. ტულისში მზე ამოდის 4—42; ჩადის 7—10. მთვარე ამოდის 2—6; ჩადის 1—52 ნღ.

2 დღე პარასკევი. პოვნა ნაწილთა წმ. ათანასე მამათ მთავროსა. შობა მ. უმად. ანდრეი ვლადიმირის-მისა, ბორის ვლადიმირის მისა, მარიამ პავლეს ასულისა. კათ. ათანასისა.

გამოვიდა ბრძანება, რომ ამიერ-კავკასიაში აღარა ხმარებულიყო ვერცხლის ფული, საქართველოს მუფეების დროს მოჭრილია (1852 წელს). ქეშარიტი შუადღე 11—56—8. ტულისში მზე ამოდის 4—41. ჩადის 7—11. მთვარე ამოდის 3—20, ჩადის 2—14 ნღ.

3 დღე შაბათი. წმ. ტიმოთე და მავრისა. კათ. პოვნა ცხოველ-მოყოფის ეგუარისა. ქეშარიტი შუადღე 11—56—9. ტულისში მზე ამოდის 4—40; ჩადის 7—16—12. მთვარე ამოდის 4—31 ჩადის 3—2 ნღ.

4 დღე კვირა. ღირსისა პელაგიასი, მოწამე სილოვანისა, ერასმისა. სომხთა: 22 დღე და მუთხე კვირა ადგომის შემდეგ (კარმირ კურავე). კათ. ფლორიანისა. ქეშარიტი შუადღე 11—56—9. ტულისში მზე ამოდის 4—39; ჩადის 7—13.

5 დღე ორშაბათი: ქალწულ-მოწამისა ირინასი. კათ. პისი. „გალაშკრება თავ. ციცივილისა ერევანზედ 1804 წ. დაარსება ტულისში წმ. ნინოს საქალგობა სასწავლებლისა 1846 წ. იერიშით აღეს არტანის ცხე 1877 წ. ქეშარიტი“ შუადღე 11—56—11 ტულისში მზე ამოდის 4—38; ჩადის 7—11. მთვარე ამოდის 6—42 ე. ჩადის 4—12 ნღ.

მაზადა.

გამოსაღვი ცნობანი.

1 აპრილიდამ 1-ლი მისამდე.
ადვილობრი შური 1-ლის ხარისხისა. 5 კ.
„ „ 2 „ 2 1/2 „

კვარის მამას შური თონისა და ღავაში 1-ლის ხარისხისა . . . 4 1/2
მე-2 ხარისხისა . . . 3 „
მე-3 — . . . 2 1/2
ძობის ხორცი 1-ლის ხარისხისა. 8 „
2 — . . . 7 „

ხალაღვი და ცალკე ამოჭრილი სუკა . . . 14 „
ცხერის ხორცი . . . 9 „

მიძოსვლა რკინის გზისა.

ტფილისიდან გადის ბათუმს 8 ს. ჰ 35 წ. დ. ბათუმიდან მადის— 10 ს. ჰ 25 წ. დ. ბაქოში მიდის— 10 ს. ჰ 45 წ. დ. ბაქოდამ მადის — 8 ს. „ — „ დ.

ტფილისსა და სურამ შუა.

ტფილისიდან გადის — 3 ს. ჰ 19 წ. დ. სურამიდან ტფ. შემოდის 8 ს. ჰ 24 წ. დ.

მიძოსვლა ფოსტის კვიზაეთა

თბილისსა და კავკავ შუა.

ზირ-და-პირ მსგელნი დამით დაუდგომლად.

ტფილისიდან გადის — 4 ს. ნაშუადღევს გაგავაში შედის — 5 ს. 15 წ. გაგავადამ გამოდის — 4 ს. 7 წ. ტფილისში მოდის — 5 ს. 6 წ. 6—31

დამე დგომით:

ტფილისიდან გადის 8 ს. დილით. გაგავაში შედის — 5 ს. 11; 6—43 ს.დ. გაგავადამ გამოდის 9 ს. დილით. ტფილისში შემოდის 4 ს. 44; 5—25 ს.დ.

მიძოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდან გადის: ოთხშაბათობით 4 ს. ნაშუად. მოკლე გზით, რადგან მარტო ნოვოროსიისკის და კრწში შეივლის. შორის გზით შაბათობით 8 საათ. სადამოზე (ქველს ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირათობით საღამათი სტამბოლამდე მიდის.

ბათუმიში მოდის ოდესიდან: სამშაბათობით შუა-დამეს შორის გზით მოკლეს გზით—დილით.

შაბათობით სტამბოლამდე მიდის დილით.

განცხადებანი

ბრ. ჩარკმინის

ქართულ წიგნის მადანიაში ისე-ღება ახლად შედგენილი

ქართული ხეები

ნოტებზედ გადაღებული ან ბენაშვილისაგან.

ფასი 1 მან. და 60 კაპ. (5—1)